პარასკევი, 30 იანვარი 1904 წ.

1877 წელიწადი ოც-დამეშვე 1904

პარასკევი, 30 იანვარი 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12 თვით	10 მ.	—	კ.
11 ,,	9 ,,	50	,,
10 ,,	8 ,,	75	,,
9 ,,	8 ,,	—	,,
8 ,,	7 ,,	25	,,
7 ,,	6 ,,	50	,,
6 ,,	6 ,,		,,
5 ,,	5 ,,	50	,,
4 ,,	4 ,,	75	,,
3 ,,	3 ,,	50	,,
2 ,,	2 ,,	75	,,
1 ,,	1 ,,	50	,,

ივერია

№ 23 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 23

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

რედაქციისაგან

გავახსენებთ იმ ჩვენს ხელის-მომწერთ, რომელთაც სრულად არ წარმოუდგენიათ წლიური ფასი გაზეთისა, 1 თებერვლამდე წარმოადგინონ დანარჩენი ფულიცა, რადგან პირველი პრემია გაზეთისა—,,ღალატი' უკვე მზად არის და 1 თებერვალს დაეგზავნებათ წლიურ ხელის მომწერთ'

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას. ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა“** („Воскресеніе“) და ალ. სუმბათაშვილის დრამა **„ღალატი“** (Измѣна). ეს უკანასკნელი წიგნი იბეჭდება, ავტორის სურათით, და ხელის მომწერთ იანვრის გასულს დაურიგდებათ.

5 მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი **უპრემიოდ**: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. ,,ივერიის'' **კონტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათომში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საბურთალოში:—პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს;

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადე მხატვარი **ტარასი სიმონი ძე მომცემიძე.**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ დღეს 30 იანვარს, დილის 11 საათზე, წმინდა მამა-დავითის ეკლესიაში იქნება გადახდილი პანაშვიდი

ა. ს. გრიბოედოვის

სულის მოსახსენებლად იმის გარდაცვალების სამოც და თხუთმეტი წლის თავზედ.

გამოვიდა და ისყიდება ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების'' წიგნის მაღაზიაში

ჩემი თავგადასავალი.

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

№ 45 აბონ. № 14

ქართული თეატრი

შაბათს, 31 იანვარს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ექიმი შტოკმანი

ანუ

ხალხის მტერი

დრამა 5 მოქ. იბსენისა თარ. პოლუმორდვინოვისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, დავითიშვილი, ა. კარგარეთელისა, ელ. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი: გ. გედევანოვი, ნ. გვარამაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს სვიმონიძე, საფაროვი, გ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად ქ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ ,,ინჟინერი სიძე'' და „დარისპანის გასაჭირი“, ხოლო ვ. გუნიას საბენეფისოდ „ჩატეხილი ხიდი''.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს 30 იანვარს, 1904 წ.

ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

I

ტრავიატა

ოპერა 4 სურ. 3 მოქ. მუს. ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ჩიჟოვა, კარტავინა, დელინა, ბ-ნნი: ფიგნერი, იდიუშენკო, ევლახოვი, შმაკოვი, კლიუზნერი, გრინევი.

II

ბალეტი დივერტისმენტით

მონაწილეობენ პრიმა-ბალერინა, ბიანკა ჯილატო, ბ-ნი ადლერი და მთელი კორდებალეტი.

უფროსი რეჟისორი მ. ნ. ბოგოლიუბოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან, 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ამეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ა. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

ტფილისი

▬ გუშინ, 29 იანვარს, ალექსანდრენეველის სამხედრო ტაძარში პარაკლისი იქმნა გადახდილი, რათა უფალმან გამარჯვება მიანიჭოს რუსეთს იაპონიისთან ომში. პარაკლისს დიდძალი ხალხი დაესწრო.

▬ შაბათს, 31 იანვარს, ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის სადგურში ა. მ. სიბირცევი, ა. ს. გრიბოედოვის სიკვდილიდან 75 წლის შესრულების გამო, ლექციას წაიკითხავს გრიბოედოვის ცხოვრებისა, მუშაობისა და ნაწარმოებთა ღირსების შესახებ. შესვლის ფასი 20 კაპ.

▬ ქართული ჩვეულებრივი საღამო ბაქოში გაიმართება ორშაბათ, 2 თებერვალს. საღამოს გამგე იქნება ლ. კ. მამულაშვილი.

▬ ტფილისიდან ერევნისა და ყარსის სატუსაღოებში პატიმართა გაგზავნა შეჩერებულ იქმნა, რადგან იქაურ სატუსაღოებში პატიმართა შორის საოფლე გაჩენილა.

▬ 4 თებერვლისთვის ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების სასარგებლოდ კრუჟოკში დანიშნული იყო საცეკვაო საღამო. საღამო აღარ გაიმართება. ვინც ბილეთები იყიდა, შეუძლიან ფული უკან წაიღოს.

▬ გიორგი კუნდუროვს ,,კავკაზ''-ის რედაქციაში მიუტანია 500 მანეთი. კუნდუროვი სთხოვს რედაქციას, მე მოვალედ ვთვლი ჩემს თავს, ზნეობრივი და ნივთიერი მონაწილეობა მივიღო იაპონიის წინააღმდეგ ომში და ეს 500 მანეთი, რომელსაც ვწირავ სამხედრო საჭიროებისათვის, დანიშნულებისამებრ გადაეცითო. რედაქციას შემწირველის თხოვნა უკვე შეუსრულებია.

▬ ტფილისის სასულიერო სემინარიის წარმომადგენელს ამ დღეებში მოლაპარაკება ჰქონდა ქალაქის წყლის-საყვანის მეთვალყურე ბ-ნ ქურდიანთან. წარმომადგენელი შეეკითხა, შეიძლება თუ არა წყლის მილი გაიყვანონ იმ ადგილში, სადაც ახლა ახალი შენობა შენდება სემინარიისათვისაო. ბ-ნ ქურდიანს შეუძლებლად დაუნახავს მილის წყლის გაყვანა, პირველი იმიტომ, რომ წყალი ცოტა ყოფილა, უმთავრესად-კ იმიტომ, რომ ის ადგილი, სადაც სემინარიის სადგომი შენდება, ქალაქის სამზღვარში არ არის შეტანილიო.

▬ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს ფული მისცა ფილოქსერას წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად. სამინისტროს მიერ გადადებულ ფულიდან 700 მანეთი გადარჩა. სარდარის ბაღის (ერევანში) მეთვალყურემ სთხოვა მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში, ეს გადარჩენილი 700 მანეთი ბაღის საჭიროებისათვის მოგვეციო. საფილოქსერო კომიტეტმა შეიწყნარა ეს შუამდგომლობა.

▬ ტფილისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი ამ დღეებში გორის მაზრაში მიდის საავადმყოფოებისა და მკურნალთა მოქმედების სარევიზიოდ.

▬ ტფილისის ბოტანიკურმა ბაღმა სანლუის მსოფლიო გამოფენაზედ გასაგზავნად კავკასიის განყოფილების მომწყობ კომიტეტს ხეხილის კოლექცია გადასცა. კოლექცია 70 სხვა-და-სხვა ჯურის ხეხილიდგან შესდგება.

▬ ტფილისის სამკურნალო გამგეობა ამ ჟამად ცნობებს ჰკრეფავს სოფლის საავადმყოფოების მდგომარეობისა და სოფლის მკურნალთა მოქმედების შესახებ 1903 წლის განმავლობაში, ზოგი ამ ცნობათაგანი სამკურნალო გამგეობამ უკვე მიიღო.

▬ ამას წინად ვწერდით, ტფილისის დედათა საპროფესიონალო სასწავლებლის დირექტორებად ნამყოფებმა ქ. გ. ბუტუზოვისა და ბუდრინამ საჩივარი შეიტანეს ქალაქის გამგეობაში, რადგან დათხოვნილ იქმენ დირექტორის თანამდებობიდგანაო. ქალაქის გამგეობამ ეს საჩივრები განიხილა ბ-ნ ბუტუზოვის საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა, ხოლო ბ-ნ ბუდრინის საჩივრის გამო დაადგინა, ქ-ნ ბუდრინს 100 მანეთი მისცეს პენსიად. ამ დადგენილებას. ქალაქის გამგეობა საბჭოს წარუდგენს განსახილველად.

▬ გუშინ, 29 იანვარს, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში გამგისა, მასწავლებლებისა და შეგირდების თანადასწრებით გარდახდილ იქმნა პარაკლისი მტერზე ძლევის მოსანიჭებლად.

▬ ბაქოს გუბერნატორი გენერალ-მაიორი ოდინცოვი დაინიშნა კავკასიის გრენადერთა დივიზიის უფროსად.

▬ აზრად აქვთ, ტფილისის ნოქართა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებასთან სავაჭრო კურსები დააარსონ.

▬ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა 600 მანეთით შემწეობა აღმოუჩინოს ობოლთა სასამართლოს კანცელარიას.

▬ შაბათს, 31 იანვარს, ქალაქის საბჭოს ხმოსანთ კერძო კრება აქვთ ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრის თანამდებობაზე კანდიდატის დასასახელებლად.

▬ ტფილისის ქალაქის გამგეობას აქამდე ზარალის მეტს არას აძლევდა ქალაქის ხორცის დუქნები. ახლა საქმე ცოტ-ცოტათი გამოკეთდა, რადგან ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისია კარგა გაეცნო საქმეს. ქალაქის გამგეობაში ამ დუქნების შესახებ წარდგენილ ცნობებიდგან სჩანს, რომ წარსულ წლის ოკტომბრის განმავლობაში 253 მანეთი და 6 კაპიკი წმინდა მოგება დარჩენია. მესამე თვეა, რაც მოგება რჩება ქალაქის გამგეობას.

▬ ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორმა ტფილისის ქალაქის გამგეობას წარუდგინა გეგმა იმ ადგილისა, რომელიც უსახელო საზოგადოებამ შეიძინა საელექტრონო სადგურისთვის.

▬ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს, რომ ტელეფონის საქმე ქალაქს გადასცეს. ამასთანავე სთხოვს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობინეთ, რა უნდება წლიურად ტე-ვის საქმესაო. და ან რამდენი აბო-ტი ჰყავთო.

ტფილისის სახაზინო ტეატრის ან-ნიორს, მისის უდიდებულესობის ს ნ. ნ. ფიგნერს, დიდმარხვის ათვის აუღია პ. უ. ა. თაგიევის ბაქოში, სადაც აღდგომამდე ავს საოპერო წარმოდგენებს.

ა. ს. გრიბოედოვი.

შესრულდა 75 წელიწადი მას , რაც რუსეთმა უდროოდ დაჰკა- წარსულის საუკუნის საუკეთესო პო-დრამატურგი ალექსანდრე სერგეის გრიბოედოვი.

რუსეთი და ჩვენც მასთან მწუხა- ვიხსენიებთ მის ღირსეულ სახელს. ვარგუნა, რომ მის ცირისუფლად ჩვენ ვიყვნეთ მის საფლავზე, მთა-მამა დავითის ეკკლესიის გალავანში. რუსეთს თავი მოაქვს ამ პოეტ თ, რადგან მისი ბუნებრივი შვი- ჩვენთვისაც არა ნაკლებ სასახელოა გრიბოედოვი, რომელმაც, გაიცნო ქართველი ერი, შეიყვარა, დაუ-ა, დაუმეგობრდა კიდეც და ბო- თავისი ნაშთიც ჩვენს მიწა-წყალს

ენებული ა. ს. გრიბოედოვი დაი- 4 იანვარს 1795 წელს მოსკოვში. ულმა მშობლებმა ბრწყინვალე განათლება მიაღებინეს, მაგრამ გიც ბევრსა კითხულობდა და მე-ობდა ჭკუა-გონების განვითარებისა- ს. გრიბოედოვმა მონაწილეობა თანამედროვე მწერლობასა და ობაში, რის გამოც მაშინდელი ობა ეჭვის თვალით უყურებდა. ეს უთავრესი მიზეზი, რომ ახალ-გაზ- გულ ჩათხრობილი ა. გრიბოედო-მა აქედ გადმოაგდო. მართალია, ის საელჩოს მდივნად ითვლებოდა შემდეგ ელჩადაც, მაგრამ ხშირად ქვეყანაში სცხოვრობდა, აქ გაატა- თავისი ახალგაზდობა, აქ გაუხალისდა უკერდა პირველად გული სიყვარუ-თ, აქ მოისაზრა და დაასრულა თვისი დრამა-პოემა «ვაი ჭკუისაგან», მაც ავტორს მართლა რომ ბევრი შესძინა.

ზულება ქართულ საზოგადოებას მოეხსენება და ჩვენს თეატრში ხში-თამაშნიათ.

ენებულმა ა. გრიბოედოვმა შეირ- ქართველ პოეტ თავ. ალექსანდრე ს თექვსმეტის წლის ასული ნინო, აც თავს ევლებოდა.

1829 წელს ა. გრიბოედოვი სპარსე- მოჰკლეს არეულობის დროს თეი- რადგან იმ დროს სპარსელთა შო- მღელვარება რუსების წინაამდეგ მე-წვავდა. მისი გვამი ტფილისს გად-ს და აქ დაასაფლავეს. მისი ცო-მელმაც ქმრის შემდეგ 30 წელი-ოცხლა, ქმრის გვერდზეა დასაფ-ი.

ა. ს. გრიბოედოვი, როგორც სულიერი ებრივი რუს-ქართველი, კარგი მა- მის თანამემამულეთათვის, რო- მართლა ერთობა უნდათ ქართ-თან და მისთვის ნამდვილად გული ათ. მხოლოდ ამისთანა გულწრფელ ეთ შეუძლიანთ სამუდამოდ განამ- ძმური სიყვარული და ურთიერ- რთის ბედით შეკავშირებულ ერე-ისა.

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

ვზი ექებს სიღრმესო და კაცი- ო'', იმისი არ იყოს, ჩარჩები თა-ს წყალში იმისთვის, რომ სიკეთე— გამოძებნონ არა სტოვებენ ჩვენ- კუთხეს და ბინავდებიან იქ, სადაც დასხმაც ეადვილებათ. ამ აზრის- ისინი ყოველნაირ ღონისძიებას ხმა-— არ ზოგვენ არც ნამუსს და არც ეს, ყოველნაირ საქმეში ხელობას უსაფუძვლო და ორ-აზროვან სი- ტვინს უბნევენ მწარმოებელთ სულ ტყუილად ხელიდგან აცლიან მას ნაწარმოებს, ან მოიგონებენ ისეთ , რაც მათ ხელს უწყობს, დამპალი ქონელი ძვირად გაასაღონ. ასეთი ჩარ- ხელში არიან იმერეთში ჩვენი მემა-—ვისაც გასაყიდი აქვს ხეხილი პოსტნეულობა, კიტრი, ნესვი, აბრე-, ქათამი და კვერცხი და სხვა პირნა- განსაკუთრებით შავ დღეს აყენე-ენ ეს ბატონები მეაბრეშუმეთა და- მომვლელ-მომშენებელთა დასახასიათებლად ზოგიერთ ჩარჩების მოქმედებისა მეაბრეშუმეებთან, მოვ'ყავთ შემდეგ მაგალითებს.

მოგეხსენებათ, ამ უკანასკნელ ათ წელში აბრეშუმის რიგიანათ მოვლა და ევროპიული ცელლულიარული (სენ შეუყრელი) აბრეშუმის თესლი თანდათან ხშირდება, რიცხვი მეაბრეშუმეებთა თანდათან მატულობს, და საოცარი დიდი მოთხოვნილებაც არის აბრეშუმის თესლზე. ამ მოთხოვნილებამ დაბადა და გაამრავლა თესლის გამყიდველიც — ჩარჩები, — ასინი კომისიით შოულობენ საზღვარ-გარეთიდგან მოტანილ თესლებს, ლამაზ-ლამაზ კოლოფებში, თითქმის ადრე შემოდგომიდგან და ზამთარ-გაზაფხულში ატარებენ ამ კოლოფებს სოფლებში და ჰყიდიან: ფულს ან თესლის ჩაბარების დროს ართმევენ ან და პირობას ართმევენ მეაბრეშუმეებს. გადუხადონ საქონლის ფასი შემდეგ პარკის მოყვანისა ,,ცოტაოდენ'' ,,პროცენტით'' (სარგებლით); ეს ცოტაოდენი სარგებელი ხშირათ უდრის საქონლის ფასს. ზოგიერთი ჩარჩი პირობაში იმასაც თხოულობს, რომ პარკი ისევ მას მიჰყიდონ. აი პირი ერთ ამნაირ პირობისა, ,,1904 წ. იანვრის... *) რიცხვს მე ქვემორე ამისა ხელის მომწერი გაძლევ თქვენ სოფელ... მცხოვრებლებს... ოთხმოც კოლოფი გრანეცის პასტრის ხელობით გაკეთებულ შესანიშნავი აბრეშუმის კაკალს საუკეთესო გვარისას, რომლის ერთი შვიდ მისხლიანი კოლოფი მოგცემს თქვენს მეცადინეობასთან არა ნაკლებ ექვს ფუთ პარკისას. პარკი არის ძალიანი მსხვილი; თითო კოლოფს გაძლევთ ცამეტ აბაზათ იმ პირობით, რომ პარკები ამ თესლისა მე მომყიდოთ სამი მანეთი მომცეთ კოლოფ თესლში. თუ რომ პარკი ჩემთვინ არ მოგეყიდნიათ, ვალდებული ხართ ჯარიმა გადიხადოთ თითო კოლოფზე თუმანი. ხელს ვაწერთ''.

აწერილობით აღტაცებული მეაბრეშუმე მოუთმენლათ მოელის კოლოფზე ხუთ ფუთ ან ექვს ფუთ პარკს და ამით გაკეთებას. თესლის მომტანს ულოცავს გზაკვალს. დადგა მურის გამოყვანის დროც— საცოდავი დედაკაცი თავს ავლებს კოლოფს და შემდეგ რაოდენიმე ტანჯულ დღისა მთელ თესლიდგან ნახევარი ძლივს აძლევს მურს, ზოგს სრულებით არ გამოუდის მური და ჯავრით გული უსკდება. მოელის დროს, ნახევარზე მეტი ეხოცება და ნაქები კოლოფი აძლევს ოც გირვანქიდან ერთ ფუთ ნახევრამდე პარკს, გამყიდველი დროზედ არ მოდის. ბოლოს მისი აჩრდილიც ბოქაულად უჯდება სახლში მეაბრეშუმეს. ამას გაგონებაც არ უნდა თესლზედ საყვედურებისა, ქურდათ და ცრუთ გამოყავს საცოდავი დედაკაცი და პირდება სატუსაღოს, თუ რომ პირობას არ შეასრულებს. დიდის ხვეწნის და ვედრების შემდეგ ჩარჩი ჯერდება სამ მანეთს და მესამედ ფასად პარკსაც.

ამის მსგავსი პირობა ბევრი კეთდება სოფლებში ზამთარში და გაზაფხულზე და ყურადღების მიმქცევი არავინ არ არის; საოცრად გვიკვირს, რომ ჩვენი ხალხი შემდეგ რაოდენიმე მსგავს გაკვეთილისა, ისევ ეკიდლება ამ წურბელებს. მართალია ჩარჩს არა გაეგება რა იმისი, თუ რა ამბავი ხვდება აბრეშუმის პეის თესლში, მაგრამ ნუ თუ მეაბრეშუმეებს ავიწყდებათ, რომ შემოდგომაში ან ზამთარში ნაყიდი თესლი სიკეთეს არ დააყრის, აბა ამის მიზეზი სულ ადვილი გასაგებია: თესლში იმყოფება ნაზი მური, სულდგმული, რომელსაც არ შეუძლია ატანა ნოტიოსი, სითბო-სიცივის რყევა, უწმინდური ჰაერი, და ამას ხომ არც ერთს არ აკლებს ჩარჩი თესლის ტარების დროს. ასეც რომ არ იყოს, სოფელში იშვიათია ისეთი ბინა, სადაც შეეძლოთ თესლის რიგიანად შენახვა.

აი ამ მიზეზის გამო ჩვენ ვალდებულად ვხდით თავს გავაფრთხილოთ მეაბრეშუმეები დროზედ და ვურჩევთ:

1. არას გზით არ იყიდოს ეხლა აბრეშუმის თესლი, 2. არ იყიდოს გაზაფხულზედაც იმ პირებიდგან, რომლებსაც დააქვთ ეს ნაზი საქონელი ქუჩა-ქუჩა, ყუთებში-ხურჯინებში ჩაწყობილი და რომლებიც ინახავენ თესლს დუქნებში, რესტორანებში და სარდაფებში.

3. შეიძინეთ აბრეშუმის თესლი დაახლოვებით ერთი ან ორი კვირით წინ, თუთის ხეებზე კვირტების გაზრდამდე.

4. საქმისთვის სჯობია თესლები შეიძინოთ წინადვე საბრეშუმო სადგურზედ შემოწმებული.

5. თესლები შეიძინეთ: ადგილობრივ ამხანაგობისაგან (მაგ. კუხში).

6. კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებიდგან, საბრეშუმო სადგურიდგან (თფილისში).

7. ქუთაისის სამეურნეო საზოგადოებიდგან, ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლიდგან, ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობა ,,კოლხიდიდგან'', როგორც სანდო წესდებებიდგან.

8. მური გამოყვანილი უნდა გყავდესთ მაშინ, როდესაც თუთის ხეებზედ ნორჩი ფოთლები გაიშლება.

თუ რა ნაირათ წესიერათ უნდა მოვლა მურსა და აბრეშუმის პეებს, ამაზედ ჩვენ თავის დროზედ მოვილაპარაკებთ ,,ივერიის'' მკითხველებთან.

ნ. მკურნალი.

---

*) დროს და პირთა გვარს არ ვწერ სხვა-და სხვა მიზეზებით.

კიდევ სამრევლო სკოლების მასწავლებლებისა და ქუთაისში მათთვის გალობის საზაფხულო საგანგებო კურსების შესახებ.

გაზეთ ,,ივერიის'' № 161 მოთავსებული იყო წერილი ქუთაისში გამართულ სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის გალობის საგანგებო კურსების შესახებ. ავტორი ქებით იხსენიებს კურსების ხელმძღვანელებს და ამავე დროს სავსებით-კი არ მოგვითხრობს, თუ როგორ სწარმოებდა კურსებზედ გალობის სწავლის საქმე. ავტორი წერილის პირველ ნახევარში სიმართლეს ამბობს, რომ ჩვენში დღევანდელი საეკლესიო გალობა ვერ არის რიგიანად წარმოებული, რომ ზოგიერთი მღვდლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საეკლესიო გალობას, როდესაც ეს გალობა საუკეთესო საშუალებაა ეკლესიაში ხალხის მისაზიდავად.

და მართლაც, ჩვენი განთლებული, თუ გაუნათლებელი ხალხი იმ ეკლესიას უფრო ეტანება სალოცველად, სადაც კარგი, მწყობრი გალობა გაისმის და, პირიქით, ნაკლებად შედის იმ ეკლესიაში, სადაც მლოცველთა სმენას ვერ ატკბობს საღვთო კეთილხმოვანი გალობა. ბევრს რასმე ჰნიშნავს საღვთო მოქმედების დროს ჰარმონიული, დინჯი გალობა, ეს უღვიძებს მლოცველებს გულში სასოებას, ღმობიერებას და იხიდავს მათს სულსა და გულს. ჩვენ არა ერთხელ გვსმენია ეკკლესიაში, მწყობრის გალობის დროს, მლოცველის გულის სიღრმიდან აღმონახეთქი ოხვრა და შეგვიმჩნევია მის თვალზედ ცრემლები სინანულისა, ღმობიერობისა. ასეთი თვალსაჩინო გავლენა აქვს საერთოდ მლოცველზედ საეკლესიო კარგ გალობას. ამ პრაქტიკულ მხარეს გალობისას მთავრობამაც მიაქცია ყურადღება და საჭიროდ სცნო გავრცელებინა იგი ხალხში და ეკლესიებში სამრევლო სკოლების მასწავლებელთა დახმარებით. ამისათვის პირველად წელს გამართეს ქუთაისში გალობის საგანგებო კურსები და მოიწვიეს მასწავლებლები გალობის შესასწავლად. დაბარებული იყო სულ 54 მასწავლებელი, აქედან მხოლოდ 33 კაცი მოვიდა.

მართალი უნდა სთქვას კაცმა, რომ ეხლანდელ კურსებზედ გალობის შესწავლის საქმე რიგიანად ვერ სწარმოებდა, ასწავლიდნენ გალობას ზეპირად (по слуху), ამისათვის კურსებზედ ყოველ დღეს შვიდ-შვიდი გაკვეთილი იყო დანიშნული; ხუთი დილით, ორიც საღამოთი. საქმის მეთაურნიც ძლიერ მონდომილი იყვნენ, რომ ხარჯსა და შრომას ამაოდ არ ჩაერნა, მაგრამ, როგორც სამი კვირის მეცადინეობიდან აღმოჩნდა, ამნაირი ცდა თვალსაჩინო ნაყოფს ვერ გამოიღებს. მიზეზად უნდა ჩაითვალოს ზეპირად და არა ნოტების შემწეობით სწავლება. მაგალითად, ქართულ გალობას ასწავლიან ამ რიგად: ერთს გაკვეთილზედ რომელიმე საგალობელს სამივე ხმაზედ ასწავლიან; ნოტების უცოდინარობისა გამო-კი, ეს სამი ხმა ერთმანეთში ერევათ მასწავლებლებს და ამიტომ, ვერც ვერთს ხმას რიგიანად ვერ ითვისებენ. სლავიანური გალობის სწავლებაც ამ რიგად სწარმოებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასწავლებლების რომელიმე ცალკე ჯგუფს ერთს რომელსამე ხმას ასწავლის, პირველს, მეორესა, მესამეს და მეოთხე ხმებს-კი არ აცნობენ; რასაკვირველია, ესეც უნაყოფო შრომაა, რადგან ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ გალობას გააწყობს ის მასწავლებელი, რომელსაც, მაგალითად, მარტო ბანი შეუსწავლია და სხვა ხმებისა-კი არა გაეგება-რა. საქმისათვის სამჯობინოა საეკლესიო გალობა გააცნონ თეორეტიულად, ნოტების საშუალებით; ამ გზით შესწავლილი გალობა უფრო საიმედოა, ვიდრე ზეპირად, უნოტოდ შესწავლილი. ნოტების შემწეობით შესწავლილი გალობა კიდევაც რომ დაავიწყდეს კაცს, ისევ გაიხსენებს, ამისთვის საჭიროა მხოლოდ ნოტებში ჩახედვა, ზეპირად დასწავლილი გალობა თუ კი დაავიწყდა კაცს, სამუდამოდ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მისი გახსენება მცოდნე პირის დაუხმარებლად ყოვლად შეუძლებელია.

ჩვენის ფიქრით, შვიდი გაკვეთილის მაგიერ, ოთხი გაკვეთილი თეორიისათვის რომ დაეთმოთ და ერთიც თეორეტიულად შესწავლილ გალობის ზეპირად ვარჯიშობისათვის, სრულიად საკმარისი იქნებოდა ნოტების გასაცნობად; რაკი ნოტებს გაიცნობენ, მერმე ადვილად შესძლებენ ყოველ ნაირ საგალობელის გალობას.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ კურსებზედ საერო სიმღერას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ჩვენის ფიქრით, მეტი არ იქნებოდა მოსწავლეთათვის საეკლესიო გალობასთან ერთად გაეცნოთ წვრილ-წვრილი საყმაწვილო სიმღერებიც. საყმაწვილო სიმღერები ბავშვებს აღუძრავს ხალისსა, შეაქვს მათს ბუნებაში მეტი სიცოცხლე. უეჭველია, ყველა მასწავლებელი შეამჩნევდა თავის სკოლაში, თუ რა ხალისით განაგრძობენ გაკვეთილს დაღლილნი ბავშვები საერთო, მხიარული სიმღერის შემდეგ. სიმღერას, როგორც საუკეთესო საშუალებას გაკვეთილზედ ბავშვების ხალისზედ მოსაყვანად, თვით საუკეთესო პედაგოგები გვირჩევენ. თუმც ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ არ ვიცით, მამა მათიკაშვილმა, რა მოსაზრებით აღუკრძალა მოსწავლეებს სიმღერების შესწავლა. როცა გალობი მასწავლებელს უნდოდა გადაეცა სიმღერა: „ლაშქრად წასვლა მას უხარის", მამა მათიკაშვილმა შენიშნა: „ასეთ უზნეო და გარყვნილ შინაარსის სიმღერას სამრევლო სკოლებში ადგილი არ უნდა ჰქონდესო, მასწავლებლები არამც თუ უნდა სწავლობდნენ ამ სიმღერას, გასაგონადაც კი უნდა ერიდებოდნენო". ამ დასკვნამდე მ. მათიკაშვილი მიიყვანა ალბად სიმღერის სიტყვებმა: „ლამაზი ცოლის პატრონსა უნდა ჰყავდეს ძაღლი ფრთხილი". მაგრამ ეს სიმღერა არ ისე უზნეო ხასიათისაა, როგორც მ. მათიკაშვილს ჰგონია. ეს სიმღერა ისტორიულია და შინაარსით ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ქართველი კაცი სამშობლოს დაცვისათვის იძულებული იყო მიეტოვებია თავისი ოჯახი და გასულიყო ბრძოლის ველზედ. ამ სიმღერაში გამოხატულია სიხარული შინ დაბრუნებულის, მაგრამ მტერზედ გამარჯვებულ ქმრისა, რომელიც დარწმუნებულია, რომ მიტოვებულ ოჯახს გონიერად მოუვლიდა და უპატრონებდა მისი ცოლი. აქ სიტყვა „ლამაზი ცოლი" აღნიშნავს ქალის როგორც გარეგან, ისე სულიერ თვისებებს: გონიერობას, გამრჯელობას, პატიოსნებას; ასეთი სულით და ხორცით შემკულ ცოლის პატრონს ქმარს ლაშქრობიდგან დაბრუნების შემდეგ უნდა უხაროდეს, და რომ ეს მარგალიტი მას არავინ მოსტაცოს, საჭიროა. ან ფრთხილი ძაღლი, ან დედამთილი, აი ეს არის გამოხატული ამ სიმღერაში, მაგრამ მ. მათიკაშვილმა სხვანაირად გაიგო ამ სიმღერის აზრი და ბრძანა: „ნუ ასწავლით ასეთს გამრყვნელ და უზნეო შინაარსიან სიმღერებსო''. ვსთქვათ, ეს სიმღერა გარყვნილი და უზნეო შინაარსიანია, სხვა სიმღერებმა რა დააშავეს? ნუ თუ ყველა ქართული სიმღერები გარყვნილი და უზნეო შინაარსიანია? თუ კი ასეთ სიმღერებს ასწავლიან რუსულად, ქართველ ბავშვებს, ცუდი არ იქნებოდა ამავე, ბავშვებისათვის რუსულ სიმღერებთან ქართულიც ესწავლებინათ.

კურსებზედ ჩამოსულ მასწავლებლებს ხარჯის ფულად 12 მან. ეძლევათ. ამ ფასით თავის შენახვა კი გასაჭირია. 12—15 მანეთს აქ დაბალი სასწავლებლის მოსწავლეები იხდიან, და, აბა, ვინ აიყვანს 12 მანეთად თვეში 20—30 წლის კაცს? მასწავლებლები, რასაკვირველია, ან თავის ჯიბიდან აძლევენ, ან და სოფლიდან იბარებენ საჭირო ხარჯს. საჭიროა ამ გარემოებას შემდეგში მაინც მიეცეს ყურადღება.

გალობაშვილი.

ჩვენებური ამბები

ჭიათურა. მოახლოვდა ქრისტეშობა თუ არა, დაცარიელდა ჭიათურაც. თუ გუშინ ხალხი ბუზივით ირეოდა, მეურმეები და ჩალვადრები შავ ტალახში გამურულები მუჯლუგუნსა სცემდნენ ერთმანეთს სამუშევარ-სასწორზედ მისასვლელად, დღეს არც ერთი იმათგანი აქ არ ჭაჭანობს და სამარისებური სიჩუმე სუფევს. „მერე რაიქნა ეს ურიცხვი ხალხი, სად წავიდნენო?!" იკითხავს მკითხველი. თავთავიანთ სახლში. დიახ, აქაური მეურწველ-მუშა ჩალვადრები ადგილობრივი მცხოვრებნი არ არიან და ამიტომაც მოაწევს დღესასწაულები თუ არა, ყველა ისინი, ვინც გუშინ ლეკმა-პურისთვის ბნელ მაღაროებში და „საშევარდნო" კლდეებზედ მუშაობდნენ, ფეხშიშველა, დასველებულ-დათხუპნილნი, დღეს თავიანთ ცოლშვილთან მიეშურებიან.

მოისვენეს აქაურმა პირუტყვებმაც, რომელიც-კი გადარჩა კლდეზედ დამტვრევას.

აი, მოაწია ნათლისღებამაც და თანდათან სიცოცხლე ემჩნევა ჭიათურას, დაიწყო ნელ ნელა მოსვლა, როგორც მრეწველებმა, აგრეთვე მუშა-ჩალვადრებმაც და, ამ სამარისებური სიჩუმის შემდეგ, ჭიათურას კვლავინდებური მოძრაობა ემჩნევა. დაუბრუნდა მაღაროს მუშა ლუკმა-პურის მოსაპოვებლად, დაუბრუნდა ჩალვადრებიც „საშევარდნო" კლდეების გზას. დაუბრუნდნენ წვრილი მრეწველებიც კაპიტალისტთა ბრჭყალებს.

თითქმის ოთხ თვეზედ მეტია, რაც ჭიათურის ხიდი გაიცა იჯარით გასაკეთებლად და ჯერ კიდევ არ არის მოთავებული; ეს გარემოება ძალიან ხელს უშლის ჭიათურის მრეწველობას. ამ ხიდზედ წელიწადში უნდა გადაატარონ არა ნაკლებ 10 მილიონი ფუთი შავი ქვისა და აგერ ოთხი თვე გადის და უხიდობის გამო შეჩერებულია იმ მხარეზედ მუშაობა. როგორც ამბობდნენ, ეს ხიდი დღიდგან გაცემისა უნდა მოთავებულიყო ორ თვეში, და ორი-კი არა, აგერ ოთხიც გადის, მგონი ხუთიც გავიდეს და მოსალოდნელია ხიდი კიდევ არ იქნეს მოთავებული. ძლიერ საჭიროა, დააჩქარებინონ მრეწველთა საბჭომ მოიჯარადრეს ხიდის დამთავრება.

აგერ ორი თვე გადის, რაც ჭიათურის სათეატრო დარბაზში წარმოდგენა არ გამართულა. მოგეხსენებათ, რომ ჭიათურაში სათეატრო დარბაზიც არის, სადაც ზამთარ-ზაფხულ შეიძლება წარმოდგენის მართვა, სცენაც რიგიანათ არის მოწყობილი. მრეწველთა საბჭო წელიწადში 550 მანეთს იხდის დარბაზის ქირად და, მიუხედავად ასეთი მოწყობილობისა და ხარჯისა, წარმოდგენებს ზამთრობით მოკლებულია აქაური საზოგადოება.

რადგან შორეულმა მსახიობებმა არ მიაქციეს ყურადღება აქაურ თეატრს, საჭიროა ადგილობრივმა ახალგაზდობამ გამოიფხიზლოს, მოიწვიოს რომელიმე მსახიობი, შეადგინოს სცენის მოყვარეთა წრე და ორიოდ იაფ-ფასიან წარმოდგენას აღირსონ ზამთარში აქაური მდაბიო ხალხი. მაგრამ, ამას ხომ მოთავე უნდა, ენერგიული მშრომელი; სამწუხაროც ეს არის, რომ ჯერ-ჯერობით არავინ აღმოჩნდა ასეთი მოთავე.

ზემო სოფლებში ამ ჟამად ერთი ადლი თოვლი სძევს, ხოლო ჭიათურაში—$^1/_3$. შავი-ქვის გადმოზიდვას ვერ აჩერებს თოვლი, მხოლოდ, სამწუხარო ის არის, რომ ფასებიც დაკლებულია და მოთხოვნილებაც ნაკლები: წითელი ქვა ღირს ჭიათურაში ფუთი 6 კაპ., შავი—7 კაპ., წითელი ჭიქორაში 5 კაპ., შავი 6 კაპ., ასე რომ «თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახე»-ო, გაიძახიან წვრილი მრეწველები.

ლადო გუბელი.

რუსეთი

ვლადივოსტოკიდგან აცნობებენ „ნოვოე ვრემიას'', 28 იანვრიდგან, რომ აქ მცხოვრები იაპონელები თავზარ-დაცემულ-არიან და სამშობლოში წასვლას ეშურებიანო. დღეს მიდის ათასი კაცი. იაპონელ ვაჭრებმა სულ მიჰყიდ-მოჰყიდეს საქონელი დიდის ზარალით. ვენური სკამები ორ-ორ შაურად გაიყიდა, ხილი სულ ოხრად არის, ასი აპელსინი ორ შაურად იყიდება, ბოთლი ღვინო- ორ შაურად. იაპონელები სულ გალატაკდნენ და ისე მიდიანო.

— ხარკოვიდგან აცნობებენ იმავე გაზეთს, რომ ქვა-ნახშირი ილევა მადნებში, ფასი მატულობს. ნახევარ მილიონი ფუთი დაკვეთილია შავის ზღვის ფლოტისათვის. მადნებს არ შეუძლიანთ ვადაზედ ჩააბარონ.

— პორტ-არტურში რუსის ქვეშევრდომნი მშვიდად მოელიან რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკების გათავებას; იაპონელები კი ჰყიდიან ქონებას და სამშობლოსაკენ მიეშურებიან.

— ხაბაროვსკაში რუსები მშვიდად არი-

ან. იაპონელების დეპუტაცია მივიდა გენერალ ლინევიჩთან და მფარველობა სთხოვა, თუ ომი ატყდა. 100 იაპონელი-კი ვლადივოსტოკს წავიდა, რომ იქიდგან სამშობლოსკენ გაემგზავროს.

— მანჯურიაში ცხარე მზადებაა საომრად. სახლები ლიაოუნსა და სხვაგან სულ ჯარებისათვის უნდა დასცალონ და მოაწყონ. ლიაოუნში 1,000 ეტლი დატვირთია ბარგისა და იარაღის გადატან-გადმოსატანად რუსის ჯარი მდინარე იალუსაკენ მიდის. ინკოუდგან ჩინელები გაქცევას აპირებენ. იაპონიის სავაჭრო სააგენტოს ვლადივოსტოკში ადგილობრივმა ჯარის უფროსმა აცნობა, რომ, თანახმად პეტერბურგიდგან მიღებულ განკარგულებისა, შესაძლოა ქალაქში სამხედრო წესი გამოვაცხადოთ და გირჩევ იაპონელები წასასვლელად შეამზადოთ ვლადივოსტოკიდგანაო.

— ირკუტსკში განკარგულება მიუღიათ, რომ საჩქაროდ გადიტანონ ციმბირის რკინის გზით 45 ვერსის სამყოფი რელსები, თავის თავის კუთვნილობით, და ზაბაიკალის რკინის გზას ჩააბარონ, რათა საჩქაროდვე გამართონ ლიანდაგი გაყინულ ტბაზე, ბაიკალისა და ტანხოის სადგურთა შორის. რელსები უნდა გადატანილ იქმნას გზათა მინისტრის თავ. ხილკოვის მისვლამდე, რომელსაც ირკუტსკში მოელიან 28 იანვარს, დილით.

უცხოეთი

იაპონია. იაპონიის ელჩს პარიჟში უთქვამს გაზ. «ტანს»-ის თანამშრომლისათვის, საკვირველია, ყველამ გაიგო რუსეთის პასუხის შინაარსი, მე-კი არა ვიცი-რაო და არც ტოკიოში შეუტყვიათ რამეო. ჩვენი გარეშე საქმეთა მინისტრი ბარონ კომურაც მხოლოდ მაშინ გაიგებს პასუხის შინაარსს, როდესაც თავისი თვალით წაიკითხავსო. ჩვენ ვუცდით, ხოლო სრულიად არა ვიცით-რა. მე იმასაც ვიტყვი, რომ ახალი არა იქმნება-რა. გაზეთები ამბობენ, რუსეთის პასუხი მშვიდობიანობის მომასწავებელიაო. მეც სიხარულით მინდა ვირწმუნო, ხოლო, კვალად ვიტყვი, არა ვიცი-რაო.

იმავე გაზეთის სიტყვით, რუსეთისა და საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრებს მოლაპარაკება ჰქონიათ, რა რიგად შეიძლება დაითანხმონ იაპონია და ამ აზრს დასდგომიან: კორეაში ყოველივე დაუთმონ. მანჯურიის შესახებ რუსეთმა თვისი დაპირება ჩინეთისა და სხვა სახელმწიფოების წინაშე კვალად გაიმეოროს. იაპონია ამ სახელმწიფოთაგანია, სხვა არაფერი. იაპონიასთან ცალკე ხელშეკრულობა საჭირო არ არის, რადგან მანჯურია ჩინეთის პროვინციაა. ჩინეთის ხელ-უხლებლობა უპირველესად ჩინეთს შეეხება და შემდეგ სხვა სახელმწიფოებს — ეკონომიურის მხრივ. იაპონიას განსაკუთრებული უფლება არ უნდა ჰქონდეს მინიჭებული.

იაპონიის ოფიციალურ გაზეთში გამოცხადდა 30 დეკემბერს ბრძანება იმპერატორისა შესახებ იმისა, რომ სახელმწიფო ხაზინის ფონდები სამხედრო საჭიროებას მოხმარდეს. ხაზინაში სამი ფონდი ყოფილა: 30 მილიონი იენი ფლოტის გასაძლიერებლად, 10 მილიონი—სახალხო საჭიროებისათვის, სიმშილისა თუ სხვა უბედურობის დროს, და 10 მილიონი—საერო განათლებისათვის. ამ თანხებიდგან 25 მილიონი ოქროს ფულია და დანარჩენი სარგებლიან ქაღალდებით, რომლის განაღდება ყოველთვის შეიძლება.

ინგლისი. ინგლისის გაზეთები კვალად ამბობენ, რომ დროა ინგლისმა გადაჭრით გამოაცხადოს თვისი პოლიტიკა და დაეხმაროს იაპონიას ჯერ დიპლომატიურად და, თუ ამ გზით არა მოხერხდა-რა, მაშინ უფრო საგრძნობელ ღონის-ძიებას მიჰმართოსო.

გაზეთები ურჩევენ იაპონიას, როგორ უნდა მოიქცეს, თუ რუსეთთან მოლაპარაკებას სასურველი შედეგი არ ექმნება: იაპონიამ გაბედულად უნდა იმოქმედოს და თავის ჯარით კორეა დაიჭიროს; მაშინ რუსეთი ვეღარ დასძრავს იქიდგან. იაპონიავე მანჯურიის ნავთსადგურებში გადასხავს ჯარს და პორტ-არტურს ბომბარდას დაუშენსო.

ერთი ცნობილი ინგლისელი დიპლომატი, რომელიც ჟურნალ-გაზეთებში Calczas-ის ფსევდონიმით სწერს, დაწვრილებით ლაპარაკობს იმაზე, თუ რა შედეგი ექმნება რუსეთისა და იაპონიის ომს და როგორ იმოქმედებს თვით ინგლისზე. ინგლისი მტრობით და შურის-ძიებით ეპყრობა რუსეთს და მთელი ერი უკმაყოფილოდ დარჩება, თუ ომი არ ასტყდა რუსეთისა და იაპონიის შორისო. ხოლო ჩვენ ვიფიქროთ, რას უნდა მოელოდეს ამ ომისაგან ინგლისი, რომელსაც უთუოდ ჩაითრევს ეს ომიო. ინგლისმა უკვე გამოსცადა, რამდენ მსხვერპლსა და ხარჯს ითხოვს ომი და რუსეთთან ომი ხომ შეუდარებელიც არ არის ბურების ომთან—ვთქვათ, რომ ჩვენმა მოკავშირემ გაიმარჯვა, რას უნდა გამორჩეს ინგლისი იმის ნაცვლად, რომ საფრანგეთს კვალად გადიმტერებს. და ის ხომ ეჭვს გარეშეა, რომ უკეთუ ინგლისი ჩაერია ომში, საფრანგეთმაც ხელი უნდა გამოიღოს. რასაკვირველია, რუსეთის დასუსტება დიდად სასურველია ინგლისისათვის, ხოლო იმ პირობით-კი, რომ მის ნაცვლად არ გაძლიერდეს გერმანია. გერმანიას ჩინებულად ესმის საერთაშორისო პოლიტიკა და სწორე ანგარიშიც აქვს დაჭერილი. ცხადია, რომ ის ემზადება და უცდის იმ წუთს, როდესაც შეეძლება რუსეთის დასავლეთი პროვინციები დაიჭიროს. ნუ ვიტყუებთ, საჯობს შევიგნოთ, რა სურს იაპონიას. უნდა ვიცოდეთ, რომ იაპონიას სძულს ინგლისელები და საერთოდ დასავლეთის ხალხი. იაპონიამ რომ გაიმარჯვოს, ერთის დაკვრით ორს ჯილდოს მიიღებს: თვის მოპირდაპირეს მოაშორებს აღმოსავლეთიდგან და ინგლისსა და რუსეთს ერთმანერთს დაუპირდაპირებს ინდოეთის ოკეანეზე. შემდეგ, თუ მოინდომა, ისარგებლებს ორ ევროპიელ სახელმწიფოთა ბრძოლით და თავისს აზრს განახორციელებს—„აზია აზიელებისათვის“, იაპონიის მეთაურობით.

იტალია. გაზეთ „იტალია“-ში დაბეჭდილია გრძელი მეთაური ახალ-პაპის პოლიტიკის შესახებ. გაზეთის აზრით, პაპმა განიზრახა დაამტკიცოს, რომ შური და მტრული დამოკიდებულება ვატიკანსა და იტალიას შორის უადგილო-დაა, და ვითომც პაპი სცდილობდეს კეთილ-განწყობილება დაამყაროს.

ინგლისი, 23. იანვარი. გუშინ დილით სიმელო დეპეშები მოვიდა, ვითომც რუსეთი და იაპონია თანხმდებიანო, მაგრამ საღამოს ამბებმა იმედი განაქარწყლეს. რუსეთის ესკადრის გასვლა პორტ-არტურიდგან ცუდი ნიშანია, იაპონიის ახალი კრეისერები დაიღუპაო. მაგრამ შორეულ აღმოსავლეთიდგანაც მოვიდა ცნობები, რომ იაპონია გულდაგდ არისო. საფრანგეთიდგან დეპეშები მოვიდა, ვითომ მთავრობას მორიგების იმედი აქვსო, რადგან რუსეთის პასუხი იაპონიის ნოტაზე, როგორც უკვე გაუგიათ, არსებითად არ ეწინააღმდეგება იაპონიის მოთხოვნილებასო. ეფიქრებათ მხოლოდ იაპონიის გაჯიქებისა და ინგლისის აზრებისა, მტკიცე რჩევას არ აძლევს იაპონიას, რომ თავდაჭერილად იმოქმედოსო. ინგლისის პოლიტიკოსები-კი ამბობენ, რომ იაპონია უფრო ამერიკის რჩევას ემორჩილებაო.

ინგლისის მწერლობა ერთს აზრს არ ადგია. Times-ი ამბობს, თუ ომი ატყდა, ინგლისი არ გაერევა, უკეთუ სხვა სახელმწიფო არ გაერია ან იაპონია არ დამარცხდაო. standart-ი ამტკიცებს, ვითომც ინგლისის ხალხი ომის წინააღმდეგიაო. «დეილი ნიუს»-ი და სხვები ურჩევენ ინგლისს ამ წუთის გულის თქმას ნუ აჰყვება და საქმეს ღრმად ჩაუფიქრდესო. ცრუ აზრია, ვითომც ინგლისსა და იაპონიას ერთი იდეალი ჰქონდეთ და საერთო ინტერესები. იაპონიას აზრადა აქვს აზია დაიხსნას ევროპიელთაგან. ინგლისი რომ იაპონიას ეხმარება, ამით ის აზიელთა აღორძინებას და ევროპის წინააღმდეგ გაერთების აზრს ემსახურება. რუსეთი ევროპისა და საქრისტიანო ქვეყნების ინტერესებს იცავს. რუსეთი რომ დამარცხდეს, ინგლისი ბოლოს ინანებს, რადგან აზიის წინმსვლელობას ვეღარაფერი შეაჩერებს.

გლადსტონისეული გაზეთი იმ აზრისაა, რომ, თუ პანმონგოლიზმი არა, პანაზიატიზმი მაინც არსებობს, რომელიც აზიის ყველა ხალხს გააერთებს. ამისათვის საქრისტიანოც უნდა გაერთდეს და შეერთებულის ძალით გადაეღობოს წინ.

რუსეთის ძლიერებისა და რუსეთის სახელს აღმოსავლეთში უნდა ბოლო მოეღოსო,—ამბობენ გერმანული გაზეთები. მშვიდობიანობის დაცვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ რომ რუსეთი უკან დაიწევს და ამის შედეგი ხომ ბევრით საგრძნობელი იქმნება, ვიდრე ყოველი ომიო. რუსეთის სახელი რომ შეირყეს, მაშინ დიდხანს ვეღარ გასწორდება წელში, რადგან დიდძალ მსხვერპლსა და ხარჯს ვერას გზით ვეღარ აანაზღაურებსო.

ჰავასის სააგენტოს ატყობინებენ ვაშინგტონიდგან, რომ რუსეთის პასუხი უკვე ეცნობა რამდენისამე სახელმწიფოს და მის გამო მოლაპარაკება ჰქონიათ შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს. რუსეთს იმაზე მეტიც დაუთმია, რაც მოსალოდნელი იყო. პასუხი სამართლიანად და ზრდილობიანად არის შედგენილი. თუ რომ ამას შემდეგ საქმე კვალად გამწვავდა, პასუხის გება მშვიდობიანობის დარღვევის გამო იაპონიას უნდა დაეკისროს და ზნეობრივად იგი განცალკევებულად უნდა დარჩეს.

თეატრი და ხელოვნება

ს. სტეფან-წმინდა. სოფ. სტეფან-წმინდის სკოლის დარბაზში იყო გამართული იანვრის თოთხმეტს ლიტერატურულ—მუზიკალური საღამო, რომელიც დაიწყო საღამოს მე-7 საათზე და დასრულდა ღამის 12 საათზე.

პირველად შეგირდთა ხორომ იგალობა რუსულად: «ღმერთო ჰფარავდე მეფესა»; იმავე ხორომ მასწავლებლის ბ. მიხეილ ჩოხელის ლოტბარობით იმღერა «ნანა», «მიყვარს ფაცხა», «იავნანა», «ჩუხჩუხით ჩარბოდა», «ნანინა» რუსულად (ტრიო), «გალიაში რომ»... «მუშური», „მივალ გურიაში, მაგრამ“... „მრავალს წელსა“ (რუსულად), «მურმან-მურმან»-ი, „შარიშური შარიგოგგი“, «ჩვე ქართვლის დედა» და „შენ, შემოქმედო, შენ გვაჯ“.

ხორო ბ. მიხეილ ჩოხელისა საუცხოოდ კარგად იყო მომზადებული. შეგირდებმა წაიკითხეს კარგად ქართული და რუსული სხვადასხვა ლექსები.

ბოლოს წარმოდგენილ იქმნა ორმოქმედებიანი კომედია-ვოდევილი „ადვოკატი მელაძე“, ივანე მაჩაბლისა; ადვოკატის მელაძის როლი შეასრულა ვ. თოფაძემ, ვაჭრის სერგოს როლი ბაგრატ აბრამიშვილმა და მსაჯულის როლი სიმონ შადურმა. თუმცა ამ მოთამაშეთ პირთაგანი არც ერთი დასწვრუნი არ იყო სცენაზე და ყველა რიგიანად ასრულებდა როლებს, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია დამსწრე საზოგადოებისა ბ-მა ბაგრატ აბრამიშვილმა თავის მოხდენილის ხმით და ლაზათიანი თამაშით. ეტყობა, კარგათაა დახელოვნებული სასცენო საქმეებში. საზოგადოების სიცილს და სიხარულს თითქმის ბოლო აღარ ჰქონდა აბრამიშვილის თამაშობას დროს.

სცენაზე დაუკრეს გრამაფონი; მოწაფეებს დაურიგეს საჩუქრები და ხალხმა ნელ-ნელა დაიწყო სკოლის დარბაზიდამ გამოსვლა, თითქოს მან წასასვლელად გული არ ერჩოდა.

მღვდლები, მასწავლებლები და სხვა-დასხვა სოფლებიდან მოსული სტუმრები იქმნენ მიწვეულნი ამავე სკოლის მეორე შენობაში ადგილობრივის მღვდ. ბლაღოჩინის მამა ნ. კანდელაკისაგან; აქ სტუმრებს საკუთარის ხარჯით მომზადებული ვახშმით გაუმასპინძლდა მ. ნიკიფორე.

ჩვენს მთაში სამრევლო-საეკლესიო სკოლების რიცხვმა თვალ-საჩინოდ იმატა, აქამდე სამი სკოლა გვქონდა: სტეფან-წმინდის, მლეთისა და სნოსი, დღეს 9 სკოლა გვაქვს, მოემატა კიდევ ექვსი სკოლა: სიონისა, ყანაობისა, კობისა, აბანოსი, გაიშაურისა და ფშ. სახაურისა, რომელთ ზედამხედველად არის განწესებული ბლაღოჩინი მღ. ნ. კანდელაკი; მამა ნიკიფორე დაუღალავად შრომობს და ამიტომ დღითი-დღე კეთილ წარმატებაში მიდის ამ ჩვენის სკოლების საქმე.

გ. ბედოშვილი.

წერილები რედაქციის მიმართ

I

ორიოდე სიტყვა ჩვენებურ რეცენზენტს
(„ცნ. ფურც“. 27 იანვარი 1904 წ.)

წარსულ კვირას, ამ თვის ოცდა-ხუთს, ჩემს საბენეფისოდ ქართულ თეატრში ითამაშეს აკაკის ახალი პიესა «განთიადი» და ვოდევილი «ადვოკატთან», ჩვეულება, და თუ გნებავთ, ლიტერატურული ზრდილობაც მოითხოვს, რომ თეატრალურმა რეცენზენტმა როცა სხვა მსახიობებს ასახელებს, ერთის სიტყვით მაინც, ავად თუ კარგად, მობენეფისეც მოიხსენიოს. ეს არ ინება «ცნობის ფურცლის» რეცენზენტმა და ალბად იმიტომ, რომ ჩვეულებაც და ზრდილობაც მეტ ბარგად მიაჩნიათ. ეს ახირებული პრეტენზიებით აღსავსე რეცენზენტი პირდაპირ აკაკის «განთიადს» მივარდა და დაიწყო ფრაზების ტკაცა-ტკუცი: „ეს ახალი პიესა სრულიად უშინაარსოაო; უხეირო, უმნიშვნელო და უაზრო სურათებს წარმოადგენსო“... კარგი და პატიოსანი, თუ ეს განკიცხვა დასაბუთებული იქნებოდა, მაგრამ სავალალოც ისაა, რომ ესე როდი გახლავთ. ამიტომაც მთელი რეცენზია ნება-უნებურად მოგაგონებთ იმ იგავ-არაკს, სადაც ფინიას უშველებელ სპილოს უკან დასდევნებია და აღარ უშვებს და თანაც მედიდურობს—მიცქირეთ, რა გულადი გარო. დიდად საჭიროა და საქმისთვისაც სასარგებლო იქმნებოდა, ასეთის გმირკაცობის მაგიერ, რეცენზენტს რამე აზრიანი შენიშვნა წარმოეთქვა. აი თუნდ მობენეფისეს თამაშობის შესახებ. საბუთიანი სათეატრო რეცენზია სკოლა და სახელმძღვანელოა მსახიობისათვის. ზოგი ჩვენებური რეცენზენტი სხვაფრივ ფიქრობს და სხვაფრივ იქცევა. «ცნობის ფურცლის» რეცენზენტმაც ერთის სიტყვითაც-კი არ მომიხსენია იმ წერილში, რომელიც უძღვნა ჩემს საბენეფისო წარმოდგენას. აგერ ჩვიდმეტი წელიწადია, რაც ჩვენს სცენაზედ ვმოღვაწეობ, შრომა და ბეჯითობა საქმისთვის არ დამიკლია და რეცენზენტმა კრიტიკა-კი არ დასძრა,—თუ როგორ შევასრულე საბენეფისო როლი პიესა «განთიადსა» და ვოდევილში. სხვები არიან მოხსენებულნი: «ძალიან კარგები იყვნენ ბ-ნი აბაშიძე, შალიკაშვილი და ალამძეო». ესეც დიდი ღვთის წყალობა იქმნებოდა, თუ ცარიელ სიტყვას რამე მაზანდა და ფასი ექმნებოდა!..

დიაღ, ბატონებო, ტყუილად როდი გაისმა საზოგადოებაში ჩივილი ჩვენებურს რეცენზიაზედ. ცხადზედ ცხადია, რომ ეს რეცენზია თავისს მოვალეობას ვერ ასრულებს და ეს იმიტომ, რომ სარეცენზიო კალამს ხელს ჰკიდებენ ბევრნი ისეთნი, რომელნიც მომზადებულნი არ არიან, ხელმძღვანელობა გაუწიონ თეატრის მუშაკთ. ამის შემდეგ, რადა საკვირველია, რომ «ცნობის ფურცლის» რეცენზენტს უბრალო ზრდილობაც-კი გამოეპარა და საბენეფისო რეცენზიაში მობენეფისე სრულიადაც არ მოიხსენია.

თუ ეხლა მაინც პასუხის ღირსი გამხდის, იმედია, იმდენა გულადობას გამოიჩენს, რომ ნიღაბს ჩამოიხსნის და თავის სახელსა და გვარს აუწყებს საზოგადოებას.

მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი

II

ს. ძანსული. (ართვინის მაზრა) გასულ 1903 წელს, სპილენძის მადნების და ქარხნის მოსამსახურეებმა მივიღეთ უმორჩილესი თხოვნა? აკეთის საზოგადოებიდან (ოზურგეთის მაზრა), რომ შემწეობა აღმოვეჩინა იმათთვის ფულით სამკითხველოს და სკოლის ასაშენებლად. ჩვენც, რა თქმა უნდა, მოვკრიფეთ ფულები—ვისაც რა შეგვეძლო—და გავუგზავნეთ დაბა ლანჩხუთში, მღვდელ ჩხაიძეს, რომელიც საზოგადოების მინდობილობით აგროვებს შემოწირულებას. არ ვიცით, ის ფულები მიიღო მღ. ჩხაიძემ და მოახმარა აღნიშნულ საქმეს, თუ არა. კარგი იქნებოდა, რომ მღ. ჩხაიძემ გამოაცხადოს რომელიმე ქართულ გაზეთში შემოწირულებათა სია, ჩვენგან გაგზავნილი, და მით დააკმაყოფილოს ჩვენი თხოვნა.

ძანსულის მოსამსახურეების მინდობილებით
ნ. ღლონტი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)
28 იანვარი

პეტერბურგი. 28 იანვარს გამოცხადდა უმაღლესი მანიფესტი. „პრავიტ. ვესტნიკი“ ისე იყიდება, რომ სულ იტაცებენ. დილიდანვე ზარების რეკაა და იწვევენ ხალხს ტაძარში, რათა ილოცონ მეფისათვის და მტერზედ ძლევის მონიჭებისათვის. ხალხი უფრო ბლომად იკრიბება ყაზანისა და ისაკის ტაძარში.—27 იანვარს გაემართა მოსკოვს მოსკოვის ობერ-პოლიცმეისტერი ტრეპოვი.

ტოკიო (რეიტერის სააგენტო). ჰგონებენ, რომ უმთავრესი ბინა იმპერატორისა ომიანობის განმავლობაში გადმოტანილ იქმნება კიოტოში.

სტამბოლი. კომისიის დღევანდელ კრებაზედ, რომელსაც უნდა განეხილა ჟანდარმერიის რეორგანიზაციის საქმე, სრული მორიგება დამყარდა. შედეგი მორიგებისა საიდუმლოდ დარჩება დრომდე.—ოსმალეთის მთავრობამ აუწყა მორიგებით შეკრულ დიდ-სახელმწიფოთა ელჩებს, რომ ფილიპოპოლში აჯანყებულთა დემონსტრაცია მოახდინეს და ძალ-მომრეობა მოიქმედეს მაჰმადიანთა შესახებაო.

კრონშტადტი. 28 იანვარს საზღვაო უწყების სატეხნიკო სასწავლებლის 24 შეგირდს მისცეს უეგზამენოდ ხარისხი ინჟენერ-მექანიკოსების უნცროს თანაშემწეებისა და 30 იანვარს ისტუმრებენ პორტ-არტურს.—ეკკლესიებში, საზღვაო მანეჟში და ქალაქის საბჭოში გადახდილ იქმნა პარაკლისები მტერზედ ძლევის მოსანიჭებლად.

კიევი. მარიამის კრებული სასწრაფოდ ამზადებს რაზმს მკურნალთა, დათა სათნოებისათა და სანიტარებისას შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნად.

ვორონეჟი. ყველა დიდის ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს შორეულ აღმოსავლეთის ამბებსა და საქმეებს. ქალაქის თეატრში, საზოგადოების სურვილით, სამგზის იქმნა თქმული საგალობელი „ღმერთო, ჰფარავდე მეფესა“.

ახალი ბუხარა. პარაკლისს, რომელიც გადახდილ იქმნა საპოლიტიკო სააგენტოს ეკკლესიაში, ომის გამოცხადების გამო, დაესწრო მთლად აქაური რუსობა. წითელის ჯვრის საზოგადოებას შესწირეს 4000 მან., შეგროვილი ქ-ბნის ლიუტშის მიერ 9 იანვარს გამართულს ბაზრობაზედ ღარიბთა სასარგებლოდ.

ირკუტსკი. 28 იანვარს. დილის 9 საათზედ საგანგებო მატარებლით მოვიდა გზათა მინისტრი და მიიღო გუბერნატორი და ზაბაიკალიისა და კრუგობაიკალიის გზების წარმომადგენელნი. სამს საათს შემდეგ მინისტრი მანჯურიას გაემართა.

ტაგანროგი. 28 იანვარს ტაგანროგის სამხედრო საკრებულოში, როცა დეპეშები მოვიდა უმაღლესის მანიფესტით, შეიკრიბნენ ოფიცრები მეორე სათადარიგო საარტილერიო ბრიგადისა, მოისმინეს მანიფესტი, სამჯერ სთქვეს საერო საგალობელი და გამოსთქვეს მზად-ყოფნა გულ-მკერდით დაიცვამთ მეფესა და სამშობლოსაო. მამულისშვილობის გრძნობის აღფრთოვანება ყოვლად დიდია.

რეველი. დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა მანიფესტის კითხვის დროს. შემდეგ გარდახდილ იქმნა პარაკლისი მტერზედ ძლევის მონიჭებისათვის.

მოსკოვი. ალექსანდრეს კრებულმან დათა სათნოებისათამან დაჰმართა სახელოსნოები საცვლების მოსამზადებლად ავადმყოფთა და დაჭრილთათვის. კრებული ამზადებს სანიტართა რაზმს. ასეთსავე რაზმს ამზადებს ივერიის კრებულიც.—საბჭო, მილიონის შეწირვის გარდა, ცდილობს მოაწყოს საქმე იმ მოსკოველთა ღარიბ სახლობის დასახმარებლად, რომელნიც ომში არიან წასულნი.

პორტ-არტური. 28 იანვარი. („რეიტერის სააგენტო“). გენერალი კრასტალინსკი ხვალ მიდის ლიაუნგიდან მდინარე იალუსკენ და თან მიჰყავს მესამე საარტილერიო ბრიგადა, რომელსაც აქვს 24 ზარბაზანი და ჰყავს სამი პოლკი ქვეითის ჯარისა. მე 3, მე-4 და მე-5 ბრიგადამ დაიჭირა თხრილები რკინის გზის გაყოლებად 40 მილის მანძილზედ ჰაიტშენგიდან. სამი ბატარეია მე-5 ბრიგადისა კინტშაუს არის. სულ მანჯურიაში 46 პოლკია აღმოსავლეთის ციმბირისა, ოთხი პოლკი 22 იანვრიდან ვლადივოსტოკისკენ არის წასული და ჯერ ისევ გზაშია.

ჩიფუ. 27 იანვარს („რეიტ. სააგენტო“). პორტ-არტურთან მომხდარ ბრძოლისას რეიტერის სააგენტო იუწყება კვლავ, რომ იაპონიის ვიცე-ადმირალი უფროსობდა ფლოტს, რომელშიაც იყო ოთხი ჯავშნიანი ხომალდი. ხომალდები დაეწყვნენ რკალივით რეიდ გარეშე და დაიწყეს სროლა. ამ სროლას მოჰყვა პასუხად რუსეთის ზარბაზნების სროლა. ოთხი ჯავშნიანი ხომალდი შეუერთდა შემდეგ იაპონიის უმთავრესს ფლოტს. შემდეგ მთლად იაპონიის გემებმა მიიტანეს იერიში რუსეთის ჯავშნიან გემების წინააღმდეგ. იაპონიის უმთავრეს ფლოტში იყო ორი დივიზია. პირველ დივიზიას შეადგენდა: ფლაგმანის გემი „მიკადო“, 4 ლინეინი ხომალდი და ორი ჯავშნიანი გემი; მეორე დივიზიაში, რომელსაც უფროსობდა ადმირალი კამიმურა, იყო 4 ჯავშნიანი ხომალდი.

პარიჟი. „ტანი“ ამბობს: „მთელმა ქვეყნიერობამ იცის, რომ საფრანგეთს გულითა და სულით უნდა გამარჯვება თვისის მოკავშირესათვის. არსებული ხელშეკრულობანი არ ავალებენ საფრანგეთს მიიღოს მონაწილეობა დღევანდელს ომში, მაგრამ მაინც და მაინც საფრანგეთი რუსეთის მოკავშირეა და იმ დროს, როცა რუსნი იაპონელებთან ბრძოლაში იქმნებიან, ჩვენი მდუმარე უმოძრაობა შეასუსტებს ყველა გვარს ცდას, თუ ვინიცობაა მოინდომა ვინმემ ეს ომი ამა თუ იმ ადგილას გამოიყენოს ჩვენდა და ჩვენთა მოკავშირეთა სავნებლად. ერთის ჩვენის არსებობით და აქა თუ იქ ყოფნით გადავუღობავთ გზას ყველას, ვინც მოინდომებს განზედ გასდგას წრე და ნაპირნი დღევანდელის ბრძოლისა. როცა გათავდება ომიანობა, რომლის შედეგი, თვინიერ იაპონიის ილლიუზიებისა, ეჭვს გარეშეა, საფრანგეთი გააქარწყლებს მოქიშპეთა იმედებს და მოიმკის ნაყოფს იმ სიტყვის ერთგულებისას, რომელიც აქვს მიცემული.

რომი. მოლაპარაკება სწარმოებს, რომ გაიგზავნოს შორეულ აღმოსავლეთში ერთი-ერთი მაღალ-ხარისხოვანი ოფიცერი, რათა თვალ-ყური ადევნოს ომიანობას.

ვაშინგტონი. („რეიტ. სააგ.“) კაბი-

ტს გადაუწყვეტია სასტიკი ნეიტრალი- ეტი დაიცვას. გეის ნოტის შესახებ უკვე ყო მიწერ-მოწერა, რომელიც ამართლებს მედს, რომ სანუგეშო პასუხი იქნება დიდ- ა სახელმწიფოთა მხრივ.

ტიან-ძინი, 27 იანვარს („რეიტერ. აგ.“) შანჰაიგუანში ყოველ წუთს ელიან ფრანგეთის გემის მოსვლას ფრანგთა ჯა- ის ერთის ბატალიონით ტონკინიდგან. ჯარმა უნდა დაიჭიროს ის სიმაგრენი, ომელნიც მიტოვებულია რუსთა მიერ. მბობენ, რომ დღეს დილა-ადრიან იმ სი- აგრეზედ, რომელთაც იცავენ მხოლოდ არაჯნი, ამართულ იქმნა სამფეროვანი აირაღებიო. ინგლისის ოფიცერმა, რომე- იც შანჰაიგუანშია, პროტესტი გამოაცხა ა საფრანგეთის ოკუპაციის წინაღმდეგ. ენერალი ვენარისი, რომელიც უფროსობს ნგლისის ჯარებს ჩრდილო ჩინეთში, დღეს აემართა შანჰაიგუანს.

ლონდონი. („რეიტ, სააგ.“) 26 იან- არს ჩემულპოში (კორეაში) გადასხდა ამდენიმე ათასი ჯარის-კაცი იაპონელ- ა, თუმცა იქ ორი სამხედრო გემი იდგა რუსეთისა.

შანჰაი, 27 იანვარი („რეიტ. სააგ.“) მა ისმის, რომ რუსეთის საფოსტო გემი „მონგოლია“, რომელიც კვირას წავიდა ქედან, იაპონელებმა შეიპყრეს შანდუნის ახლობლადაო.

პეტერბურგი. გამოცხადებულია შემ- ეგი სახელ-დებული უმაღლესი ბრძანება მართებელესის სენატის მიმართ:

„რათა სასწრაფოდ იქმნას დაყე- ებული სამხედრო ფეხზედ, თუ ვი- იცობაა საჭიროებამ მოითხოვა, ჯარები სანამესტნიკოსი, აგრედვე ციმბირის ფლოტისა, ჩვენ სასარ- ებლოდ ვსცანით ნება მივსცეთ ჩვენს მოადგილეს შორეულს აღმო- ავლეთში: 1) მიიწვიოს სანა- ესტნიკოში სამხედრო-სამსახური- ათვის იქ მცხოვრებნი სათადარი- ო ოფიცერნი და მდაბიო ჯა- ის-კაცნი მხედრობისა და ფლო- ისა წესისაებრ და 2) განკარგუ- ება მოახდინოს და შეიძინოს კვიდრთაგან საჭირო რიცხვი ცხე- ებისა კვალად იმავე არსებულ ესისაებრ. უფრო ბეჯითნი ცნო- ანი მიცემული აქვს ჩვენ მიერ ამხედრო მინისტრს და საზღვაო ამინისტროს გამგეს. უმართებელე- ი სენატი ამ ბრძანების აღსარუ- ებლად ჯეროვანს განკარგულე- ას მოახდენს“. ნამდვილს საკუთა- რის მისის იმპერატორებითის უდი- დებულესობის ხელით აწერია: „ნი- კოლოოზი“.

დეპეშა ნამესტნიკისა სამხედრო მინისტრის მიმართ 26 იანვრის თარიღით: „უმაღლესის ბრძანების აღსასრულებლად, სიმაგრეები პორტ-არტურისა და ვლადივოსტოკისა და ის ადგილები, რომელიც ჩინეთის აღმოსავლეთის გზის სარგებლობაშია, 28 იაივრიდან შიშიანობის წეს-ქვეშ არის გამოცხადებული. განკარგულებაა მოხდარი, რომ საცდელად საომარ ფეხზედ იქმნას დაყენებული ოთხი შელავათ-მინიჭებული პოლკი და ორი ბატალიონი ზაბაიკალის ჯარებისა. გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი“,—პირი დეპეშისა, რომელთაც გენერალ-ადიუტანტმა ალექსეევმა გაჰგზავნა პორტ არტურიდან 27 იანვრის თარიღით: „დღეს, 24 იანვრის თარიღით გამოცემულ უმაღლესის ბრძანების ძალით, რომელიც მეუწყა მთავარ-შტაბის უფროსის დეპეშით 25 იანვარს გამოვაცხადე, საომარ ფეხზე იქმნას დაყენებული ჯარები სანამესტნიკოსი, აგრედვე კვანტუნისა და ზღვის პირის ოლქისა და კუნძულის სახალინისა. პირველი დღე ჯარის ფეხზედ დაყენებისა 28 იანვარია. გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი“.

რეველი. მოვიდა განკარგულება, რომ დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ხარბინს ყველა მატარებლები, რომელიც აქაურს ქარხანაშია და მზა ვაგონები ჩინეთის გზისა.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ინახულეს საზღვაო კადეტთა კორპუსი, სადაც მათ მიეგება დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, გამგებელი საზღვაო სამინისტროსი, დირექტორი კორპუსისა და სხვა უფროსნი და მაღალ-ხარისხოვანნი კაცნი. მათნი უდიდებულესობანი შებრძანდნენ დიდს სასადილო დარბაზში, სადაც დამწკრივდნენ გარდემარინები და კადეტები. ხელმწიფე იმპერატორი, რომელიც საზღვაო ფორმითა ბრძანდებოდა, მიესალმა კადეტებს. როცა წინ გაუარა, ხელმწიფემ უბრძანა, გამოაცალკევეთ კარდემარინებიო, რომელთაც შემდეგის სიტყვებით მიჰმართა:

-გეცოდინებათ, ყმაწვილებო, რომ სამის დღის წინად ომი გამოგვიცხადეს. ურიდმა მტერმა გაჰბედა და ბნელს ღამეში დაეცა ჩვენს სიმტკიცეს—ჩვენს ფლოტს, თუმცა არავითარი საბაბი და მიზეზი არ მიგვიცია. ამ ჟამად სამშობლოს სჭირია თვისნი სამხედრო ძალნი ფლოტისაცა და ჯარისაცა და მე განგებ მოვედი აქ თქვენთან თქვენ სანახავად და უნდა გითხრათ, რომ მომიცია თქვენთვის ხარისხი მიჩმანისა, რათა შევსებულ იქმნას თქვენით ფლოტი, $3^{1}/_{2}$ თვით ადრე განიჭებთ ამ ხარისხს უეგზამენოდ და დარწმუნებული ვარ, ყოველის ძალ-ღონითა და გულმოდგინებით ეცდებით თქვენის ცოდნის შევსებასა და იმსახურებთ ისე, როგორც მსახურებდნენ თქვენი წინაპარნი და მამაპაპანი, ადმირალები ჩიჩაგოვი, ლაზარევი, ნახიმოვი, კორნილოვი და ისტომინი სასარგებლოდ და სადიდებლად ჩვენის ძვირფასის სამშობლოისა. დარწმუნებული ვარ, რომ ყოველს თქვენს ძალღონეს შესწირავთ ჩვენს ფლოტს, რომელსაც ზედ დაჰფრიალებს ბაირაღი ანდრიას ჯვარითურთ, ურა“! ძლიერი „ურა“ და ხმა საგალობელისა იყო პასუხი მონარქის სიტყვებისა. შემდეგ მათნი უდიდებულესობანი გაემართნენ ქსენონში, სადაც მოწყალე ლაპარაკის ღირსნი გაჰხადეს ავადმყოფნი კადეტნი. მას უკან მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ და კადეტებმა აღტაცებით გააცილეს მათნი უდიდებულესობანი საზამთრო სასახლემდე.

ვოლოგდა. ვოლოგდის საბჭოს ხმოსნებმა გარდასწყვიტეს დაჰფინონ მის უდიდებულესობის ფერხთა წინაშე თვისი უქვეშევრდომელესი გრძნობანი სიყვარულისა, ერთგულებისა და რწმუნება, რომ ვოლოგდის მცხოვრებნი მზად არიან შესწირონ ტახტისა და სამშობლოს ტრაპეზსა ყოველივე მსხვერპლი.

სოფია. („კორესპონდ. ბიურო“). ის კაცი, რომელმაც ხელი მოუმართა 30 დეკემბერს, რომ სტოიანოვი მოეკლათ, დააპატიმრეს. დამნაშავეს ეძებენ.

ბრიუსელი. 28 იანვარს მატარებელში, რომელიც გუშინ საღამოთი წავიდა პარიჟს, შეცვივდნენ იმ განყოფილებაში, სადაც ფულიანი პაკეტები ინახება, ექვსი ბოროტმოქმედი. შეჰკრეს მოსამსახურენი, წაიღეს ყველა ფულიანი პაკეტი და მატარებლიდან გადახტნენ.

პარიჟი. გაზეთებმა დაბეჭდეს შემდეგი დეპეშა, 27 იანვარს მიღებული პორტ-არტურიდან: „იაპონიის ფლოტი, 15 ჯავშნიან გემისაგან შემდგარი, დილიდან მოკიდებული ყუმბარებს ესვრის პორტ-არტურსა. ციხემ პასუხი გასცა, მთელი რუსეთის ფლოტი გამოვიდა. მოხდა ბრძოლა. გეგმა იაპონელებისა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ უცებ მიეტანა იერიში, წინააღმდეგ საერთაშორისო უფლებისა, სრულდება. უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რომ გაიაშიმ სამის დღის წინად იწინასწარმეტყველა საზღვაო ბრძოლა. მოჰხდა კიდეც წინდაწინ ომის გამოუცხადებლივ“.

მოსკოვი. დღეს მიძინების ტაძარში მუხლმოდრეკით გარდაიხადეს პარაკლისი უმაღლეს მოხელეთა თანადასწრებით. ტაძარში აუარებელი ხალხი იყო.—ქალაქის საბჭოში წაიკითხეს მანიფესტი და გადიხადეს პარაკლისი.—ვაჭართა საბირჟო საზოგადოებამ გადასწყვიტა შეაგროვოს ერთ მილიონამდე შეწირულება, რომ მოხმარდეს 800 ათას მანეთთან ერთად, რომელიც უკვე აქვთ, მხედართა ოჯახებს და დაშავებულ მებრძოლთა. მონადირეთა კლუბმა შესწირა საავადმყოფოსათვის 5 ათასი მანეთი. უცნობისაგან მოუვიდათ 25 ათასი მანეთი.

ბლაგოვეშჩენსკი. ამბავი უმაღლეს ბრძანებაზე ჯარის მობილიზაციის შესახებ მოვიდა ბლაგოვეშჩენსკში 27 იანვარს; საღამოს რვა საათისათვის ჯარების შეკრების შესახებ განკარგულებანი უკვე გათავებული იყო. სურსათზე ფასებმა ძალიან აიწია. დიდი ნაწილი იაპონელთა (163 კაცი) დარჩა ქალაქში. სამხედრო გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა და იწვევს ყველას უწესოება არ მოახდინონ, არ გაავრცელონ ჭორები, არ იხმარონ რაიმე ძალდატანება უცხოელ ქვეშევრდომთა შესახებ, აგრედვე იაპონელთა, კორეელთა და ჩინელთა შესახებაც. ქალაქში მშვიდობიანობაა.

29 იანვარი.

პეტერბურგი. საბჭომ 8 საათზედ გადაიხადა პარაკლისი და შემდეგ ერთხმად გადასწყვიტა გადასდოს მილიონ-ნახევარი მანათი ომში დაზარალებულთათვის.

ირკუტსკი. რელსების დაწყობა ბაიკალის ტბის ყინულზედ გაიცა იჯარით და მზად უნდა იყოს 15 თებერვლამდე. ჯილდოდ დანიშნულია სამასი თუმანი დღეში, თუ ვადაზედ ადრე გათავდება ეს საქმე. მუშაობა დაიწყო 2 იანვარს. ეშინიანთ, ვაი თუ შპალები დაგვაკლდესო. ციმბირის გზით გადატანილია რელსები 25 ვერსის მანძილზედ. მუშა ხალხი ბევრი მოდის აღმოსავლეთიდან და ტელეგრაფის მავთულსაც აბამენ.

კიევი. უმაღლესის მანიფესტის მიღების შემდეგ, ხალხის სიმრავლემ გაჰმართა პატრიოტული მანიფესტაციები, რომლებმაც ღამის 12 საათამდე გასტანა. გალობენ **Коль Славенъ**-სა და იძახიან «ურას». საბჭოს წინ, ხალხის სურვილისამებრ გამოჩნდა აივანზედ სურათი ხელმწიფე ემპერატორისა, რომელსაც დიდის აღტაცებით მიეგებნენ. ლიტანიით სიარულის დროს წინ მიაქვთ ეროვნული ბაირაღები. აღფრთოვანებული მანიფესტაცია მოჰხდა საფრანგეთის საელჩოს წინ. სთქვეს ხან რუსული და ხან ფრანგული საგალობელი. წესიერება სამაგალითოა.

მოსკოვი. წითელის ჯვრის მოსკოვის განყოფილებამ დაადგინა, მოაწყოს ქსენონ-ლაზარეთი 4,000 მხედრისათვის და დაიწყოს შემოწირულებათა შეგროვება.

კურგანი. 29 იანვარს გამოაცხადეს, რომ ჯარები საომრად მზად იყოს.

პეტერბურგი. 28 იანვრის უმაღლეს ბრძანებაში გამოცხადებულია, შესდგეს ციმბირის მე-3 სამხედრო კორპუსი, თანახმად 28 იანვრის უმაღლესის ბრძანებისა. ამ კორპუსის გამგეობა უნდა მოეწყოს ციმბირის 1-ლ და მე-2 სამხედრო კორპუსების მიხედვით. ეს ბრძანება გამოეცხადა სამხედრო უწყებას ცნობისთვის, ხოლო ვისიც ჯერ არს სახელმძღვანელოდ.

27 იანვარს უმაღლესად ნაბრძანებია: 1) ამ ჟამად საომარ ფეხზედ დაყენებულ მე-2 ვერხნეუდინსკისა, მე-2 ჩიტისა, მე-2 ნერჩინისა და მე-2 არგუნის პოლკებისაგან, რომელნიც ზაბაიკალის ყაზახთა ჯარს შეადგენენ, შესდგეს ერთი დივიზია სახელწოდებით „ზაბაიკალის ყაზახთა დივიზია“, და პირველ ბრიგადას უნდა შეადგენდეს მეორე ვერხნეუდანსკისა და მეორე ჩიტას პოლკებისა, ხოლო მეორე ბრიგადას—მეორე ნერჩანისა და მეორე არგუნის პოლკები. 2) ბრიგადის სამმართველო დივიზიის შტაბი უნდა შესდგეს აწ არსებულის სამხედრო დროის შტატების დაგვარად შესაკრებელი და დასათხოვნი ადგილები დივიზიის შტაბისა და ბრიგადის მართველობათა მიენდოს აირჩიოს ნაკაზნი ატამანს ზაბაიკალის ყაზახთა ჯარებისა. ზემორე აღნიშნულს ვუცხადებ სამხედრო უწყებას საცნობელად და რაშიც ჯერ არს აღსასრულებლად. მოაწერა სამხედრო მინისტრმა, გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა—შინაგან საქმეთა მინისტრმა აღკრძალა „პეტერბურგის გაზეთის“ ცალკე ნომრების ყიდვა.—იუსტიციის მინისტრი მიდის ჰააგაში მედიატორეთა სასამართლოში დასასწრებლად, სადაც ის ითავმჯდომარებს, სამინისტროს გამგეობა გადაეცა მის ამხანაგს სენატორს მანუხინს.—შეთანხმებისა გამო იმპერატორის მართებლობისა საფრანგეთთან, რუსეთის ქვეშევრდომთა საიმპერატორო მისიათა შენობათა საკონსულოების დავა იაპონიაში ომიანობის დროს მიენდო საფრანგეთის წარმომადგენელთა. იაპონიის ქვეშევრდომთა ინტერესების დაცვა რუსეთში, აგრეივე იაპონიის მისიათა სახლების და საკონსულოების დაცვა მიენდო ჩრდილო-ამერიკის ელჩსა.—28 იანვარს იაპონიის საელჩო მთელის თავის ამალით გამოვიდა პეტერბურგიდამ.

პორტ-საიდი. ორი ნაღმიანი გემი რუსეთისა და სატრანსპორტო ხომალდი „სმოლენსკი“ და „როსსია“ მოვიდნენ აქ.

ვაშინგტონი. რუზველტმა გადასწყვიტა გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი შეერთებულ შტატებისა ომიანობის განმავლობაში შორეულ აღმოსავლეთს. შესაბამი პროკლამაცია გამოცხადებულ იქმნება 28 იანვარს.

პეტერბურგის ბირჟა

21 იანვარი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	$37{,}72\frac{1}{2}$
ბირჟის დისკონტი	$5-6\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	96 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა	$95\frac{1}{8}$ გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	—
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	312 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა.	261 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
$4\frac{1}{2}$% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	$192\frac{1}{4}$
6% ქუთ. სად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	91 გაყ.

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამ-ჟაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ3

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბიუროში იყიდება ცელულიარულად შემზადებული აბრეშუმის ჭიის თესლი საფრანგეთის ყვითელ და ბაღდადის თეთრ ჯიშისანი. ფასი მისხ. 60 კ.
(3—2)

ყველა
ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი
ადრესი: U. 111 an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.
(50—49)

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.
ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:
ქაჯანა

მსწრაფლ მბეჭდავი
სტამბა
ექვთიმე ივ. ხელაძისა,
რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;
იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.
სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.
ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.

მიიღება ხელის-მოწერ. 1904 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს
„მწყემს“-ზე
და
რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე
XIX
ჟურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი“	3 მ.	ორივე გამოცემა	5 მ.
სამკურნალო ფურცლის დამატებით	4 მ.	6 თვით „მწყემსი“	2 მ.
რუსული	3 მ.	რუსული	2 მ.
		ორივე გამოცემა	3 მ.

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ნ ესტატე ღამბაშიძესთან, ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ შიო ქუჩუკაშვილთან. ახალსენაკში--ბლაღოჩინ ჰამა არ. კალანდარაშვილთან.
სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად**.
რედაქცია იმყოფება დაბა **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.
გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.**
რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.
რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

Дозволено цензурою, тифлисъ 29 января 1904 г. Типографія Е. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-гр. рисеминаріи დროებით რედაქტორი [illegible], [illegible] [illegible]